თბილისელებმა საუკეთესოდ ითამაშეს

მოსკოვი. “დინამოს” სტადიონი. 30 ივნისი.

“ტორპედო” (მოსკოვი) - “დინამო” (თბილისი) 1:3 (1:2).

“დინამო”: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ხურცილავა, ჩოხელი, გ. სიჭინავა, ხოჭოლავა, მელაშვილი, ზეინკლიშვილი, კალოევი, ბარქაია, მესხი (დათუნაშვილი).

“ტორპედო”: გლუხოტკო, მედაკინი, შუსტიკოვი, ოსტროვსკი, ვორონინი, მანოშინი, პოსუელო, ივანოვი, გუსაროვი, ბატანოვი, დენისოვი.

მსაჯი ე. ოდინცოვი (ლენინგრადი).

ფეხბურთის მიმომხილველები ხშირად იწყებენ თავიანთ კომენტარებს ასეთი სიტყვებით: თამაშის დასაწყისი კარგს არას უქადდა ამა და ამ გუნდს. ნება მომეცით, მეც ამ ტრაფარეტით დავიწყო გუშინდელი მატჩის თხრობა - მატჩის დასაწყისი კარგს არას უქადდა თბილისის “დინამოს”.

მართლაც, მოსკოვში წვიმდა, ციოდა და განუწყვეტლივ ქროდა. ასეთი ამინდი არ უყვართ სამხრეთელებს. ეს ერთი და მეორეც: ათიოდე წუთიც არ იყო გასული მატჩის დაწყებიდან, როცა გუსაროვმა მიიღო კარგი გადაცემა, გავიდა მეკარის პირისპირ და გახსნა ანგარიში.

წააგებენ... ამ აზრმა გაგვიელვა ყველას, მაგრამ უკვე რამდენიმე წუთის შემდეგ, როცა ჩოხელი მარტოდმარტო დარჩა გლუხოტკოს წინაშე, ეს განაჩენი ბევრს უკვე ნაადრევად მოგვეჩვენა. მართალია, გივიმ ამ მომენტში ვერ შეასრულა ფორვარდის როლი, მაგრამ მაყურებელთათვის ცხადი შეიქნა, რომ თბილისელები სრულიადაც არ იყვნენ წასაგებად განწყობილნი.

საინტერესო იყო დინამოელთა განლაგება - 3+3+4. ჩოხელი ზუსტად მოქმედებდა დაცვასა და ნახევარდაცვას შორის, ხოლო ზეინკლიშვილი გ. სიჭინავასთან მონაცვლეობით განუწყვეტელ რეიდებს აკეთებდა შუა ხაზსა და ავანპოსტს შორის. თბილისელთა მთელი კოლექტივი სწრაფად, ტემპიანად თამაშობდა, არც ერთ მომენტს არ უშვებდა მოწინააღმდეგის კარის საიერიშოდ და ამავე დროს ორგანიზებულად იბრძოდა თავისი საჯარიმო მოედნის ტერიტორიაზე. ერთხელ კიდევ მოხიბლა მოსკოველი მაყურებელი ს. კოტრიკაძემ. იგი ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე იდგა.

ერთი სიტყვით, თბილისელებმა ამ მატჩში გვიჩვენეს თავიანთი მდიდარი შესაძლებლობანი. 27-ე წუთზე მესხმა კარგად იმუშავა თავის ფლანგზე და ცენტრში გადასცა გ. სიჭინავას. ეს უკანასკნელი სწრაფად გავიდა წინ და ძლიერად დაარტყა კარში. მართალია, ბურთი რომელიღაც მცველს მოხვდა გზაში, მაგრამ თავისი მიზანი მან მაინც არ დაკარგა - 1:1.

გავიდა კიდევ 3 წუთი და გლუხოტკოს უკვე მეორე ბურთი გამოჰქონდა კარიდან. ეს გათამაშება დინამოელთა მთავარმა “კომბინატორმა” ბარქაიამ წამოიწყო და ზუსტი დარტყმით დაამთავრა მელაშვილმა - 2:1.

ტრიბუნებზე მსხდომნი მოუთმენლად ველოდით მეორე ტაიმს. ტორპედოელებს დასაწყისშივე უნდა აეღოთ ხელთ ინიციატივა, თორემ შემდეგში გაძნელდებოდა “დინამოსთან” ბრძოლა და მათ ასეც დაიწყეს მეორე ტაიმი, მაგრამ თბილისელები გუშინ საუცხოოდ თამაშობდნენ. 57-ე წუთზე იმავე მელაშვილმა კიდევ ერთხელ წინ გაიყვანა თავისი გუნდი და “ტორპედო” უკვე აშკარად განწირული აღმოჩნდა წასაგებად. კალოევს, მელაშვილს და ისევ კალოევს ძალზე კარგი შესაძლებლობები ჰქონდათ მოსკოველთა კარის წინ. ყველაფერი ეს არ ნიშნავს, რომ მასპინძლები ყრუ დაცვაში ისხდნენ და მხოლოდ მოწინააღმდეგე ფორვარდებს ებრძოდნენ. დრო და დრო ისინი გაძლიერებული ძალებით და ხანგრძლივადაც უტევდნენ სტუმრებს, მაგრამ თბილისელები სწრაფად ახდენდნენ საჭირო გადაადგილებებს თავდასხმიდან დაცვაში და პირიქით.

თბილისის “დინამომ” გაიმარჯვა ანგარიშით 3:1. ეს იყო დამსახურებული და ლამაზი გამარჯვება.

მოსკოვის “ტორპედოსა” და თბილისის “დინამოს” დუბლშემადგენლობათა შეხვედრა აგრეთვე თბილისელთა მოგებით დამთავრდა - 2:0.

“ლელო”, 1 ივლისი 1962 წ.